არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა დაკმაყოფილება საწარმოს რეაბილიტაციისა და გაკოტრების პროცესში

თამარ ბაღაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ძაგნიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

განაცხადი როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბაღაშვილი

2021 წელი

აბსტრაქტი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“[1] კანონმა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“[2] საქართველოს კანონით დამკვიდრებული მრავალი მიდგომა შეცვალა. მათ შორის გახლავთ არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა დაცვის გარანტიები საწარმოს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესში.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა აერთიანებს და ერთობლივად მიმოიხილავს საწარმოს რეაბილიტაციისა და გაკოტრების პროცესში არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა დაცვის იმ ახალ მექანიზმებს, რომლებიც გადახდისუუნარობის ახალი კანონის სხვადასხვა ნაწილში გვხვდება. ამ საკითხების ერთად თავმოყრა და ძველ კანონთან შედარება კი, წარმოაჩენს გადახდისუუნარობის პროცესში არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა დაცვის და მათი უფლებების ჯეროვნად რეალიზაციის მნიშვნელობას როგორც ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის, აგრეთვე, შიდა კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოებისთვის.

კვლევაზე მუშაობის დროს გამოყენებულია ანალიტიკური და შედარებითი კვლევის მეთოდები. ანალიზი მოიცავს ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს კვლევას, 2020 წლის გადახდისუუნარობის კანონამდე მოქმედი კანონმდებლობის მიდგომებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და გადახდისუუნარობის კანონის რეფორმის ანალიზს.

შედარებით სამართლებრივი კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა იაპონიისა და ინგლისის გადახდისუუნარობის სამართალი არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების ჭრილში. აგრეთვე, გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი კომისიის (UNCITRAL) განმარტებითი ბარათი გადახდისუუნარობის სამართალზე და

---

[1] საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 19.09.2020, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

[2] საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28.03.2007, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

ზოგადად, საწარმოს გადახდისუუნარობის პროცესში დამკვიდრებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

კვლევამ გამოკვეთა, რომ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ისევე, როგორც კონკრეტული ჯგუფის - არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების გათვალისწინებით, საწარმოს რეაბილიტაცია გადახდისუუნარობის პროცესში უპირატესი ინტერესი უნდა იყოს. ძველი კანონის ფარგლებში კი, გადახდისუუნარობის პროცესი ძირითადად საწარმოს გაკოტრებაზე გახლდათ ორიენტირებული, რადგან რეაბილიტაციის დაწყება, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი კრედიტორების ხელში იყო, რაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით რადიკალურად შეიცვალა.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ახალი კანონით დამკვიდრებულმა მიდგომებმა პრაქტიკაში სწორი ასახვა ჰპოვოს, დამკვიდრდეს და მოემსახუროს კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების მიზანს. ძველი და ახალი კანონის დაპირისპირება, ისევე, როგორც შედარებით სამართლებრივი კვლევა წარმოაჩენს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის სწორ ღირებულებებს და შესაძლოა, საფუძველი დაუდოს მომავალში საკითხის ირგვლივ ახალი კვლევების ჩატარების აუცილებლობას.

ნაშრომი ნათლად წარმოაჩენს, რომ გადახდისუუნარობის მთავარი ადრესატი უნდა იყოს კრედიტორი, განსაკუთრებით კი არაუზრუნველყოფილი კრედიტორი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, გაკოტრება, რეაბილიტაცია, საწარმო, ეკონომიკა.

Abstract

The Law of Georgia on Rehabilitation and the Collective Satisfaction of Creditor's claims[3] has changed many approaches established by the Law of Georgia on Insolvency Proceedings[4]. These include guarantees for the protection of unsecured creditors in the process of bankruptcy and rehabilitation of the enterprise.

The research conducted in the following paper combines and jointly reviews the mechanisms of protection of unsecured creditors in the process of rehabilitation and bankruptcy of enterprise presented in various parts of the new insolvency law. Bringing these issues together and comparing them with the old legislative system, shows the importance of protecting unsecured creditors in the insolvency process and the proper realization of their rights both for the establishment of a functioning market economy and for approximation of domestic law to the best international practice.

The research has been conducted by using analytical and comparative research methods. The analysis includes a study of the national legal framework, a review of old legislation approaches, case law, and analysis of insolvency law reform.

Comparative legal research has examined the insolvency law of Japan and England in terms of satisfying unsecured creditors. Also, the legislative guide of insolvency law of the United Nations Commission on International Trade (UNCITRAL) and, in general, international best practices established in the process of insolvency of an enterprise.

The study found that from a macroeconomic point of view, as well as considering the interests of unsecured creditors, rehabilitation of the enterprise should be of paramount interest. Under the old law, the insolvency process was mainly focused on the bankruptcy of the enterprise, as the start of rehabilitation was, in fact, in the hands of secured creditors, which was radically changed by the Law of Georgia on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors.

---

[3] The Law of Georgia, adopted on 19.09.2020, Parliament of Georgia;
[4] The Law of Georgia, adopted on 28.03.2007, Parliament of Georgia;

This research is important for the approaches established by the new law to find the right reflection in practice, to be established, and to serve the purpose of collective satisfaction of creditors. Confronting the old and new law, as well as researching foreign law, presents the correct values of insolvency law and may justify the need for new research on the issue in the future.

The paper makes it clear that by international standards, the main addressee of insolvency should be a creditor, especially an unsecured creditor.

Keywords: unsecured creditors, bankruptcy, rehabilitation, enterprise, economics.